



ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა

პროგრამით მოსარგებლის სამსახსოვრო

✓ რას გულისხმობს პროგრამა?

პროგრამა გულისხმობს გულ-სისხლძარღვთა, ფილტვის, ფარისებრი ჯირკვლის ქრონიკული დაავადებების და ღიაბეტის (არაინსულინდამოკიდებული, ტიპი 2) მქონე პირთა მედიკამენტებით უზრუნველყოფას.

✓ ვის შეუძლია ისარგებლოს პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებებით?

პროგრამის მოსარგებლეა პირი, რომელიც რეგისტრირებულია „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ და მის ოჯახზე მინიჭებული სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000 ერთეულს.

✓ როგორ უნდა მიიღოს პაციენტმა მედიკამენტი აღნიშნული პროგრამის ფარგლებში?

1. ფარმაცევტული პროდუქტის მისაღებად, პირმა უნდა მიმართოს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს (სააგენტო) ნებისმიერ ტერიტორიულ ერთეულს, ქვეყნის მასშტაბით, როგორც რეგიონულ, ისე რაიონულ დონეზე და გაიაროს რეგისტრაცია ერთჯერადად.
2. ბენეფიციარმა ან მისმა ნდობით აღჭურვილმა პირმა რეგისტრაციისთვის, თან უნდა იქონიოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა – დედანი და ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა N IV -100/ა)– დედანი. ნდობით აღჭურვილი პირი დამატებით უნდა ფლობდეს საკუთარ პირადობის დამადასტურებელ მოწმობას.
3. ფორმა 100 – უნდა მოიცავდეს ქრონიკული დაავადების დადასტურებულ დიაგნოზს (ICD-10), მკურნალობისთვის საჭირო მედიკამენტების სახეობის და დღიური დოზის მითითებით (დღიური დოზის მითითება სავალდებულოა, წინააღმდეგ შემთხვევაში სააგენტო ვერ დაარეგისტრირებს ბენეფიციარს).
4. რეგისტრაციის შემდეგ, მედიკამენტის მისაღებად, პირი მიმართავს აფთიაქს, სადაც პირადობის დამადასტურებელი მოწმობის და ექიმის (ოჯახის ექიმი, სოფლის ექიმი, ექიმი – სპეციალისტი) მიერ გამოწერილი რეცეპტის საფუძველზე, მიიღებს კუთვნილ მედიკამენტ(ებ)ს.
5. პირი, აფთიაქიდან მედიკამენტ(ებ)ის თითოეული გატანისას, იხდის მომსახურების ღირებულებას, რაც შეადგენს გატანილი მედიკამენტ(ებ)ის ღირებულების 10%-ს, მაგრამ არანაკლებ 0,05 (5 თეთრი) ლარისა და არაუმეტეს 1 (ერთი) ლარისა (ღირებულება მრგვალდება მეტობით, თეთრის სიმუსტით), პირი ვერ მიიღებს აღნიშნული თანხის გადახდის დამადასტურებელ სალარო აპარატის ქვითარს (ჩეკი).
6. პირს შეუძლია ერთ ჯერზე მიიღოს მხოლოდ 3 (სამი) თვის სამყოფი ოდენობის მედიკამენტი.
7. იმ შემთხვევაში, თუ პირი ერთ ჯერზე გაიტანს 3 (სამი) თვის სამყოფ ოდენობაზე ნაკლებ მედიკამენტ(ებ)ს, მიღებული მედიკამენტის ოდენობის შესაბამისი ვადის გასვლის შემდგომ, მას შეუძლია განმეორებით მიმართოს აფთიაქს და გაიტანოს მომდევნო 3 (სამი) თვის ოდენობა.
8. თუ პირი, მომდევნო სამი თვის მედიკამენტის გასატანად, მიმართავს აფთიაქს 3 (სამი) თვიანი ვადის ამონურვამდე, დასაშვებია მედიკამენტის გაცემა, მაგრამ მომართვის პერიოდი შეიძლება იყოს სამ თვიანი ვადის ამონურვამდე არაუადრეს 10 (ათი) დღისა.
9. დიაგნოზის და/ან მედიკამენტის და/ან დოზის ცვლილების შემთხვევაში, მოსარგებლემ სააგენტოში უნდა წარმოადგინოს განახლებული ფორმა 100, რომლის საფუძველზეც განხორციელდება ამ კონკრეტული პირის რეგისტრაციის განახლება.
10. აფთიაქიდან მედიკამენტის გაცემის მომენტში, თუ შეიცვლება პირის ოჯახზე მინიჭებული სარეიტინგო ქულა და აღემატება 100 000 ერთეულს, იგი ვერ შეძლებს კუთვნილი მედიკამენტების მიღებას, მიუხედავად ელექტრონულ პროგრამაში რეგისტრაციისა.
11. პირს შეუძლია „ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამის“ ფარგლებში შესყიდული მედიკამენტების შესახებ სრულ ინფორმაციას დასახელების, სერიის და მოქმედების ვადის თაობაზე გაეცნოს აფთიაქის საინფორმაციო დაფაზე განთავსებულ ფორმატზე.
12. თუ არ არის აღნიშნული ინფორმაცია გამოკრული თვალსაჩინო ადგილზე, მაშინ პირს შეუძლია მოსთხოვოს ფარმაცევტს აღნიშნული ინფორმაცია ან დარეკოს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცხელ ხაზზე 1505.

13. აღნიშნული პროგრამის შესახებ სიახლეები შეგიძლიათ იხილოთ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებ გვერდზე - www.ssa.gov.ge.